

community

The New Apostolic Church around the world

04/2018/GE

სამხ. მოციქული მარკუს ფელბაუმი დამსახურებულ პენსიაში

რედაქციისგან:
მრავალფეროვანი ნიჭები

ღვთისმსახურება: მათგან
უდიდესი სიყვარულია

ეკლესიის მომღვრება:
ლოცვა - იგი აუცილებელია
ნებისმიერ ცხოვრებისეულ
სიტუაციაში

New Apostolic Church
International



მრავალფეროვანი ნიჭები

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

ვიდრე ადამიანს საკუთარი თავის სხვებთან შედარებისკენ მიდრეკილება აქვს, ის ყოველთვის ხაზს გაუსვამს განსხვავებებს: კანის ფერს, სოციალურ მდგომარეობას, ეროვნებას, ქონებას. და ამგვარი შედარების დროს ხშირად იგი ძირითადად საკუთარ პოზიციას იყენებს საზომად: ის, რაც სხვანაირია, განსხვავებად აღიქმება, უნდობლად უყურებენ და აფასებენ, ცალკეულ შემთხვევაში კი განსჯიან კიდევ.

აი, ღმერთი კი არ აკეთებს ამგვარ განსხვავებებს. მას ისიც უყვარს, ვინც ჩვენნაირია და ისიც, ვინც ძალიან განსხვავებულია. მოდით, წინ ნუ დავუდგებით ამ სიყვარულს. ღვთიური სიყვარული ყველამ ერთნაირად უნდა განიცადოს.

გარდა ამისა, მოდით, ერთად ვიბრძოლოთ ღვთისათვის და მასთან ერთად. როგორც მის მიერ მოწოდებულნი, ვემსახუროთ მას და სიხარულით ვიუწყოთ სახარება. ამისათვის კი ერთმანეთი გვჭირდება. ჩვენ გვჭირდება ჩვენი განსხვავებები. ჩვენ გვჭირდება ჩვენი მოყვასის ნიჭები, მას კი - ჩვენი.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავებებს ჯერ კიდევ ვამჩნევთ, მაგრამ მრავალფეროვნებას დაბრკოლებად აღარ აღვიქვამთ, ეს ჩვენთვის უკვე აღარ არის დამცირების ან განსჯის საბაზი. იმის ცოდნით, რომ თვითეული თავის განსხვავებულ ნიჭს ეკლესიას მოახმარს, განსხვავებანი იმის შანსს წარმოადგენს, რომ მათ უფრო მეტი ღირებულება შეიძინონ ყველასათვის.



ფოტო: საქრთველის ახსენ

მოდით, როგორც ქრისტეს სხეულის ასოები, ერთმანეთს ვემსახუროთ. მოდით, ჩვენი ნიჭები ქრისტეს ეკლესიის სამსახურში ჩავაყენოთ. ამავე დროს, დიდი მადლიერების გრძნობას განვიცდით ყველა იმ ქრისტიანის მიმართ წარსულშიც და აწმყოშიც, რომლებმაც ღვთისგან ბოძებული ნიჭები ქრისტეს ეკლესიის სამსახურში ჩააყენეს და დღესაც ასე იქცევიან.

არსებობს სხვადასხვაგვარი ნიჭები. დაე, თვითეულმა მისი ნიჭები და ძალა ეკლესიას მოახმაროს და თან ყოველგვარი პატივმოყვარეობის გარეშე - ყოველთვის ღვთისა და მოყვასის სიყვარულით.

გულითადი მოკითხვებით

ჟან-ლუკ შნაიდერი

| მათგან უდიდესი სიყვარულია



ბერნდ-ოსტერმუნდიგენის ეკლესიიდან ღვთისმსახურება ტრანსლიაციით სამხ. მოციქულის სამოღვაწეო მხარის ყველა თემში გადაიცა.

ფოტო: იოანას მბრუნველი და მარკ ჟენო



1. კორ. 13, 13

„ახლა კი რჩება რწმენა, სასოება, სიყვარული - ეს სამი. მათგან უდიდესი კი სიყვარულია.“

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დღევანდელ განსაკუთრებულ ღვთისმსახურებაზე. ეს ის განსაკუთრებული დღეც არის, რომელიც ამ სამოციქულო მხარის ისტორიაში შევა, რამეთუ აქაური სამხ. მოციქული დამსახურებულ პენსიაში გადის. ცხადია, აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ვაქოთ და ვადიდოთ ერთი კაცი. ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და მადლობა გადავუხადოთ საყვარელ ღმერთს იმისათვის, რაც მან ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩვენთვის გააკეთა. მადლობას ვუხდით საყვარელ ღმერთს იმ კურთხევისათვის, რომელიც მან სამხ. მოციქულის მოღვაწეობის შედეგად მოგვანიჭა, და რომ საყვარელი ღმერთი ამ ათი წლის განმავლობაში, სამხ. მოციქულის მოღვაწეობის ამ პერიოდში, სულ მის გვერდით იყო. ვიცით, რომ ეს ზეციური სამშობლოსკენ მიმავალ ჩვენს გზაზე ახალი ეტაპის დასაწყისია, როგორც ეს საგალობელში მოვისმინეთ.

როგორც ვიცით, გარკვეული დროის მერე მანქანას ინსპექცია სჭირდება, რათა ვნახოთ, ყველაფერი წესრიგშიათუარა, წესრიგშიათუარა უსაფრთხოების ელემენტები. უკეთესია წინასწარ ვიზრუნოთ ამაზე. ალბათ მიზანშეწონილი იქნება, რომ ჩვენც ჩავატაროთ ერთგვარი სულიერი ინსპექცია, რათა ვნახოთ, ისევ წესრიგშიათუარა ჩვენი სულის დაცვის მექანიზმი. მოდით, ამ სულიერი ინსპექციისათვის გულები გავუხსნათ სულიწმიდის ზემოქმედებას აქ, დღეს. ისევ წესრიგშია ყველაფერი, რაც ჩვენი სულიერი ცხოვრების უსაფრთხოებას სჭირდება?

როცა საქმე ჩვენს ხსნას ეხება, რა უწყობს მას ხელს? სწორედ ის, რასაც პავლე მოციქული აქ უმნიშვნელოვანეს კ უ ნ ქ ე ბ ა დ ასახელებს: საქმე ეხება რწმენას, იმედსა და სიყვარულს.

გადავხედო და ვნახე, რომ უკვე კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა პირველმოციქულმა ამ სიტყვით იმსახურა. რა თქმა უნდა, ვიცით, რომ რწმენა, სიყვარული და იმედი მნიშვნელოვანია. მაგრამ, საყვარელო და-ძმანო, აქ ჩვენს ხსნაზეა ლაპარაკი. ხსნისათვის მთავარი და მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ რწმენა, იმედი და სიყვარული ისე არსებობდეს ჩვენში, როგორც ეს უფალს სურს.

პირველი პუნქტი, რომელსაც პავლე ასახელებს, რწმენაა. ბუნებრივია, რწმენა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ხსნა. მხოლოდ რწმენას შეუძლია ჩვენი გადარჩენა. მხოლოდ რწმენას შეუძლია ჩვენი ღმერთთან მიყვანა. ეს მხოლოდ რწმენაზეა დამოკიდებული. სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია. პავლე წერდა: „რწმენით დავდივართ და არა ხილვით“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიდრე უფალი ჯერ კიდევ არ მოსულა, ვიდრე ხსნის გეგმა ჯერ არ განხორციელებულა, რწმენა უნდა ჰქონდეს ადამიანს.

მისი ურთიერთობა ღმერთთან მხოლოდ რწმენაზეა დაფუძნებული. რა არის რწმენა? რწმენა უბრალოდ იმის გაცნობიერებაა, რომ არსებობს რაღაც, რისი დანახვაც კაცს არ შეუძლია, რისი გაგებაც არ შეუძლია და რისი წარმოდგენაც არ ძალუძს. ეს არის რწმენა. მნიშვნელოვანია, ყოველთვის კარგად გვესმოდეს, რომ ჩვენ ის ბოლომდე გვჭირდება. რისი გვწამს? გვწამს, რომ ღმერთი სიყვარულია. ქრისტიანული რწმენის ფუნდამენტი შემდეგია: ღმერთი სიყვარულია. ჩვენ გვწამს სამერთი ღმერთის: მამა-ღმერთის, ღვთის ძისა და სულიწმიდისა. ეს სამი სრულიად ერთია

და შინაგანად ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს არის სიყვარულის ზუსტი განსაზღვრება. სიყვარული პრინციპში ის ურთიერთობაა, რომელიც ტრინიტარიზმში არსებობს მამას, ძესა და სულიწმიდას შორის. სამი სხვადასხვა პირი სრულიად ერთია, მათ ვერავინ დაამორებს, ისინი შინაგანად არიან დაკავშირებულნი. ეს არის სიყვარულის განსაზღვრება. მათ ვერავინ დაამორებს ერთმანეთს. ღმერთი სიყვარულია. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი სიყვარულია. ღმერთმა, სამერთმა ღმერთმა, შექმნა ადამიანი: „შექმნათ ადამიანი ჩვენს ხატად

და ჩვენს მსგავსად“. მას სურდა, რომ იგი ამ ურთიერთობაში, ამ თანაზიარებაში, ჩაერთო. მათაც უნდა ჰქონოდათ წილი სიყვარულში. თუმცა ადამიანი არ დაემორჩილა ღმერთს და უგულვებელყო იგი. მაგრამ ღმერთი

სიყვარულია, მთელი მისი საქმე დასაწყისიდანვე იმისკენ არის მიმართული, რომ ადამიანი კვლავ ჩართოს ამ თანაზიარებაში, აღადგინოს ურთიერთობა ღმერთსა და კაცს შორის, რათა მან კვლავ შეძლოს სამერთ ღმერთთან სრულყოფილ თანაზიარებაში ცხოვრება.

ჩვენ გვწამს იესო ქრისტესი. სიყვარულით მოავლინა ღმერთმა დედამიწაზე უფალი იესო, მისი ძე, ის განკაცდა. იესო ქრისტემ ღვთის არსი, აზრები და ნება გაგვიცხადა. ჩვენ ამის გვწამს. ჩვენ ვხედავთ ღმერთს, რამეთუ იესო ქრისტეს ვხედავთ და, როცა იესო ქრისტეს ვუსმენთ ან მის სიტყვებს ვკითხულობთ, ღვთის სიტყვასა და ნებას ვისმენთ. ჩვენ გვწამს იესო ქრისტესი, რომელიც ღმერთმა სიყვარულით მოავლინა ამქვეყნად და რომელმაც მსხვერპლად გაიღო საკუთარი თავი. ეს არის ღვთის მიერ ჩვენთვის სიყვარულით მოცემული გზა მასთან მისასვლელად.

ჩვენ გვწამს სულიწმიდა-ღმერთის, ახალი შემოქმედის. სიყვარულით მოავლინა ღმერთმა სულიწმიდა ამქვეყნად. სულიწმიდა ამჟამად იმისთვის იღვწის, რომ ღვთიური სიყვარული პრაქტიკულად დანერგოს და ახალი შემოქმედება შექმნას. პირველად ის ახალ კაცს შექმნის, შექმნის ხსნას, ის იმისათვის იღვწის, რომ ბოლომდე მიიყვანოს ხსნის ღვთიური გეგმა. ღმერთი დღეს სულიწმიდის მეშვეობით სუფევს დედამიწაზე, სადაც ღვთიური სიყვარული მოქმედებს. ამ სულის მეშვეობით ის ღვთიურ გეგმას აგრძელებს, რომლის საბოლოო მიზანიც ყველა ადამიანის ღმერთთან თანაზიარებაში შეყვანაა.

ჩვენ საუკუნო დიდებას ველოდებით, რომელიც ყველა ტანჯვასა და გაჭირვებას დაგვაგიწყებს.



მაშასადამე, ჩვენ გვწამს ღმერთის, რომელიც სიყვარულია. სიყვარული: განსაზღვრება, შიდატრინიტარული ურთიერთობა - ღმერთს ადამიანის ამ ურთიერთობაში შეყვანა, ჩართვა, სურს; ამისათვის კი სიყვარულით მოავლინა დედამიწაზე იესო ქრისტე, ღვთის ძე, რომელმაც მსხვერპლად გაიღო თავი. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი დღეს სულიწმიდის მეშეობით აგრძელებს თავის საქმეს, რომლის დანახვაც შეუძლებელია, მაგრამ ეს ღვთის საქმეებია, ეს ღვთიური სიყვარულია. ამის გვწამს ჩვენ. და კიდევ გვწამს იმისა, რომ ღმერთმა სიყვარულით მოგვცა ეკლესია, სასულიერო თანამდებობა და საიდუმლოები, ასევე გვწამს იმ აღთქმისა, რომელიც იესომ დაგვიდო და რომელსაც სულიწმიდა ისევ და ისევ ცოცხლად ინახავს ჩვენში: უფალი მეორედ მოვა, რამეთუ მას მისი სასუფევლის აღმართვა სურს და ახალს შექმნის ყველა ადამიანისათვის, ვინც იესოს მიმდევარია. აი, ამის გვწამს ჩვენ. ამის გათავისება მნიშვნელოვანია ჩვენთვის. რწმენიდან მოდის ნდობაც. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი სიყვარულია; ჩვენ გვწამს, რომ ღვთიური სიყვარული კვლავაც მოქმედებს და ადამიანებისათვის ხსნის მინიჭება სურს.

დღეს ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ამის დანახვა. შეიძლება ვერ ვხედავდეთ, მაგრამ გვწამს, რომ ღმერთს ვუყვარვართ. შეიძლება ვერ ვხვდებოდეთ, რას აკეთებს ღმერთი, მაგრამ ჩვენ მაინც ვენდობით მას, რადგან გვწამს, რომ ჩემი ღმერთი სიყვარულია და ის თავის საქმეს აკეთებს. და ზოგჯერ, როცა უკულმა მიდის ყველაფერი, ჩვენ მაინც გვწამს ღმერთის და ვენდობით მას: ღმერთი ისეთია, როგორც გვწამს იგი. ის ქმნის ხსნას, ის ყველა ადამიანის ხსნისათვის მოღვაწეობს. ასეთია მომავალი. ჩვენ ღმერთის ყოვლადმლიერებას ვართ მინდობილნი, ღმერთი ისეთია, როგორც გვწამს



ჩვენ არ ვაძლევთ ჩვენს შეცდომებსა და ასრულყოფილებას ჩვენი სულით დაცემის საშუალებას.

იგი. ეს არის რწმენა სამერთი ღმერთისა, იესო ქრისტესი, სულიწმიდისა, ასევე რწმენა ეკლესიისა, სასულიერო თანამდებობისა, საიდუმლოებისა, მომავლისა. აქედან წარმოიშობა ნდობა. ეს არის პირველი მნიშვნელოვანი პუნქტი და მასზეა დამოკიდებული მთელი ხსნა.

ამის შემდეგ პავლე მეორე პუნქტად იმედს ასახელებს. სწორედ ამგვარი რწმენიდან ჩნდება იმედი. ჩვენ გვწამს იმისა, რაც ღმერთს აქვს განზრახული. ჩვენ

ვისწრაფვით ამისკენ, მოთმინებით ველოდებით მას და ვემზადებით ამისთვის. ეს არის იმედის განსაზღვრება. ქრისტიანული რწმენა ძირითადად მომავალზეა ორიენტირებული. მე ეს ორი კვირის წინ ვაშინგტონშიც ვთქვი, რადგან მაწუხებს ეს ამბავი, ვუყურებ რა ქრისტიანულ სამყაროს. შესამჩნევი ხდება, რომ ზოგჯერ რწმენა კი არის, მაგრამ შესუსტდა იმედის, მომავალის, საუკუნო სიცოცხლის რწმენა, ჩვენთვის პირველი აღდგომის და ამის შემდეგ ახალ შემოქმედებაში ყველა იმათგანის ხსნის რწმენა, ვინც ქრისტეს უფლად მიიღებს. ქრისტიანებისათვის დიდი საფრთხე არსებობს, რომ ქრისტიანული რწმენა მხოლოდ ეთიკად არ გადაიქცეს; იმ მოძღვრებად, რომელიც ეთიკურ ღირებულებებს გადმოგვცემს, რომლის მიზანიც ერთად ყოფნის, ადამიანთა თანაცხოვრების გაუმჯობესებაა. ეს ეთიკური ღირებულებებია და ძალიან კარგია, მაგრამ შეიძლება სხვა რამითაც შეგვეცვალა ისინი. იქ, სადაც რწმენა მომავალს არ უკავშირდება, იგი ტრადიციად ან მორალად იქცევა, მაგრამ მას ხსნა არ მოაქვს. ეს, მართლაც, მაწუხებს. მოდით, მაგრად ჩავეჭიდოთ იმედს.

ჩვენი რწმენა მომავალზეა ორიენტირებული. ჩვენ ველოდებით, რომ ღმერთი დაიცავს თავის აღთქმას. ველოდებით იმ ხსნას, რომელსაც ღმერთი მოგვანიჭებს. და ბოლოს, ჩვენ ახალ შემოქმედებას ველოდებით. მერე კი, ყველა, ვინც ქრისტეს უფლად მიიღებს, ხსნას ჰპოვებს. ჩვენი იმედი იმაში მდგომარეობს, რომ ვიცით, ეს დრო დადგება. უფალმა იესომ თქვა, რომ ღვთის სასუფეველი უკვე თქვენს შორის არისო. ამაზე უკვე გვაქვს ბუნდოვანი წარმოდგენა. აქ პავლე ამბობს: ახლა ჩვენ სარკეში ბუნდოვან სურათს ვხედავთო. მაგრამ უკვე გვაქვს წარმოდგენა დიდებაზე, სრულყოფაზე. თუმცა ჯერ ყველაფერი ძალიან გაურკვეველია. მაგრამ ვიცით, რომ ეს მოხდება, ყველაფერი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია: ახალი ქმნილება, რომელიც ღმერთმა გვიბოძა, უკვე სახეზეა, მაგრამ ჩამოყალიბების პროცესშია; ეკლესია, რომელიც მან მოგვცა, უკვე აქ არის, მაგრამ ჯერ არ არის სრულყოფამდე მისული, ის ჩამოყალიბების პროცესშია; ხსნა, რომლის მინიჭებაც მას ყველა ადამიანისთვის სურს, უკვე არსებობს, მაგრამ ჩამოყალიბების პროცესშია, მისი კარგად დანახვა ჯერ შეუძლებელია, მაგრამ ის მოვა, რამეთუ ღმერთმა აღვციტა. ღმერთი ისეთია, როგორც ვიწამეთ. ეს ასე იქნება და ჩვენ ამისთვის ვემზადებით; ეს არის იმედი, ცოტათი საგრძნობი, მაგრამ ყველაფერი ჩამოყალიბების პროცესშია, ჯერ კიდევ არასრულყოფილია.

ეკლესია არ არის სრულყოფილი, მძებნი, მღვდელმსახურები არ არიან სრულყოფილნი,

მორწმუნენი არ არიან სრულყოფილნი, ხსნა არ არის სრულყოფილი, მშვიდობა არ არის სრულყოფილი და ა.შ. ყველაფერი ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს ყოველივე მოხდება და ვემზადებით ამისთვის. იმედი გვეხმარება იმაში, რომ მტკიცენი დავრჩეთ, მაშინაც კი თუ ცდუნებებთან ბრძოლა გვიწევს, თუ განსაცდელის გადატანა გვიწევს. ჩვენ მტკიცენი ვრჩებით იმედში; მოდით, დავრჩეთ ერთგულნი; ღვთის სასუფეველი მოვა, ჩვენ კი შევალთ შიგ და სამუდამოდ ნეტარნი და ბედნიერნი ვიქნებით. მხოლოდ დაელოდე, ღირს, რომ ერთგული დარჩე.

დროდადრო სიკვდილი მოდის, ამ დროს გვეუბნებიან: მოკვდა და ახლა რა ექნებაო. არა, იმედი სიკვდილზე მალა დგას, ბევრად უფრო მალა. სიკვდილი დაბრკოლება არ არის. ცდუნებების დროსაც ვინარჩუნებთ სიმტკიცეს, არც სიკვდილის დადგომის დროს იცვლება ჩვენი იმედი; ყველაფერი ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ აღსრულდება! ღმერთმა აღვციტა: რაც დავიწყე იმას სრულყოფო. ვიდრე ჯერ კიდევ თანახმა ხარ, შეგიყვან ჩემს სასუფეველშიო.

აი, ასეთი იმედი ცოცხლობს ჩვენში. ამიტომაც არ ვყრით ფარ-ხმალს. ასორმოცდაათჯერაც რომ წავიქცეთ, ასორმოცდაათჯერვე წამოვდგებით და გავაგრძელებთ ჩვენს გზას. გვაქვს რა იმედი, ვიწმინდებით, ვაგრძელებთ ბრძოლას ცოდვის წინააღმდეგ, კვლავაც არ ვზოგავთ ძალ-ღონეს გამარჯვებისათვის, ახალი სიცოცხლის განვითარებისათვის. ჩვენ არ დავთმობთ იმედს. ის მოვა და ჩვენ ვემზადებით ამისთვის. ვუყურებთ სამყაროს და ვხედავთ გაჭირვებებს, უსამართლობას, ბევრი ადამიანის ბედ-უკუღმართობას. ისეთ ადამიანებსაც ვხედავთ, ვინც ძალიან შორს არის ღვთისგან, ძალიან შორს. ამ დროს კაცმა შეიძლება მხნეობა დაკარგოს. შეიძლება ვინმემ თქვას: „და რას აკეთებს თქვენი ღმერთი?“ ჩვენი ღმერთი სულიწმიდის მეშვეობით იღვწის, ის ხსნის ღვთიურ გეგმაზე მუშაობს, რომლის მიზანიც ყველა ადამიანის ხსნაა. ამაშია საქმე, ეს არის ღვთის საქმეები, ღმერთი სულიწმიდის მეშვეობით მუშაობს. ის ბოლომდე იმუშავებს. მოდით, კვლავაც ვემსახუროთ უფალს და მისი საქმისთვის კვლავაც გავილოთ მსხვერპლი, ვითანამშრომლოთ, რამეთუ ეს გეგმა წინ მიდის, მას ვერავინ შეაჩერებს. აი, ეს არის იმედი. ჩვენ ვიცით, რომ ის მოვა და ველოდებით მას. ჩვენ ვილტვით მისკენ და ვემზადებით უფლის დღისათვის. მოთმინებით და შეუპოვრად ვიბრძვით ცოდვის წინააღმდეგ. მოდით, ვემსახუროთ უფალს, მსხვერპლი გავილოთ მისთვის. მოდით, თავს ნუ დავზოგავთ მის საქმეში, რამეთუ ამ ისტორიის დასასრული კარგად ვიცით.



პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი დამსახურებულ პენსიაში აცილებს სამხ. მოციქულ მარკუს ფელბაუმს (სურათი მარცხ.) და სამხ. მოციქულის მოვალეობებს იურგ ცბინდენს აკისრებს.

და ბოლო პუნქტი: ცოტა უცნაურია. პავლე ჯერ რწმენას ასახელებს, მერე იმედს და მხოლოდ ამის შემდეგ სიყვარულს. ძირითადად პირიქით აკეთებენ ხოლმე, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს, ვინაიდან თუ რწმენა სწორია, თუ იმედი მტკიცეა, ამის მერე ჩნდება, ბუნებრივია, სიყვარულიც. რწმენა გვეუბნება: „ღმერთს უყვარხარ, ღმერთს ყველა ადამიანი უყვარს.“ ის გვაგრძნობინებს ამ სიყვარულს, გვაძლევს მისი გაგების საშუალებას. იმედი კი გვიჩვენებს, თუ რას გვიბოძებს საყვარელი ღმერთი.

აქედან საპასუხო სიყვარულიც აღმოცენდება; ვინაიდან ღმერთს ასეთები ვუყვარვართ, ჩვენც გვიყვარს იგი. თუმცა ამგვარ სიყვარულს რწმენა წარმოშობს. რწმენის გარეშე ხომ შეუძლებელი იქნებოდა ასეთი სიყვარული. უნდა გვწამდეს, რომ ღმერთი სიყვარულია. დაე, თუნდაც ვერ ვხედავდეთ მას, დაე, თუნდაც არ გვესმოდეს მისი, დაე, თუნდაც ვერ შევძლოთ ამის წარმოდგენა, ჩვენ მაინც გვწამს და მოველით, რომ აქედან აღმოცენდება სიყვარული. პავლე ამბობს, რომ რწმენა სიყვარულში ხდება ქმედითი. როგორც რწმენა არ წარმოადგენს არაფერს იმედის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია სიყვარულის გარეშე. სიყვარულია ის საზომი, რომლითაც რწმენა იზომება. მაშასადამე, საქმე რწმენაშია, მაგრამ რწმენის შესაფასებლად ღმერთი სიყვარულით ხელმძღვანელობს. სადაც ჭეშმარიტი რწმენაა, სიყვარულიც იქ არის, ღვთისადმი სიყვარული. როგორ გამოიხატება ეს სიყვარული? უფალმა იესომ

თავად თქვა: „ვისაც მე ვუყვარვარ, ის იცავს ჩემს მცნებებს, ვისაც ვუყვარვარ, ის მორჩილია.“ ბევრ ადამიანს, მათ შორის ბევრ ქრისტიანს, სხვანაირი წარმოდგენა აქვს სიყვარულზე. მასში ვერაფერს შევცვლით, ეს იესო ქრისტეს სიტყვაა. იესომ განმარტა იგი: „რწმენა სიყვარულით იზომება. ვისაც ვუყვარვარ მე, ის იცავს ჩემს მცნებებს.“ კიდევ არსებობს ჩვენში იმის შინაგანი სურვილი, რომ ქრისტეს მცნებებისამებრ ვიცხოვროთ? კიდევ არსებობს ჩვენში შინაგანი სურვილი იმისა, რომ ჩვენი ცხოვრება რჯულის მიხედვით წარვმართოთ? „ვისაც ვუყვარვარ მე, ის იცავს ჩემს მცნებებს.“ როცა გვეცოდინება, რომ საქმე რწმენაშია და ღმერთი მას სიყვარულის მეშვეობით ზომავს, და რომ ღმერთი სიყვარულს რწმენაში მორჩილებით განსაზღვრავს, მაშინ სიყვარული არც ისე კომფორტული იქნება.

მეორე მცნება, რომელიც მან მოგვცა, მოყვასის სიყვარულის მცნებაა: იმ შემთხვევაში, თუ იმედი გვექნება, ღმერთი თავისთან თანაზიარებას გვპირდება, ჩვენი მიზანიც ეს არის და ვემზადებით ამისთვის. რას ნიშნავს „ვემზადებით“? ჩვენ ღმერთთან თანაზიარებისთვის ვემზადებით და იმაზე ვართ ორიენტირებულნი, რომ დღესვე ერთნი ვიყოთ ღმერთთან, რომ მისი აზრები, მისი ზრახვანი ჩვენს აზრებად და ჩვენს ზრახვებად იქცეს. როგორია იესოს განწყობა? მას ისევე უყვარს მოყვასი, როგორც მე ვუყვარვარ. გვაქვს რა იმედი, მომავლისკენ ლტოლვა, ღმერთთან თანაზიარებისკენ ლტოლვა, ჩვენ დღესვე ვართ ორიენტირებულნი მასზე. გამუდმებით ვცდილობთ, რომ იესო ქრისტეს

ზრახვებს შევეწონოთ. იესო ქრისტე ღმერთია, ღმერთი სიყვარულია, მას უყვარს ჩემი მოყვასი - ასე, რომ ეს ყველაფერი ურთიერთშესატყვისია. მე ვიზრდები სიყვარულში, რამეთუ იმედი მაქვს, ველოდები თანაზიარებას, ვემზადები ღმერთთან თანაზიარებისთვის, ღმერთი სიყვარულია, ე. ი., მეც სიყვარული უნდა ვიყო. ამიტომაც არის სიყვარული ასე უსაზღვროდ მნიშვნელოვანი. მაშასადამე, რწმენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხსნისათვის, განაპირობებს იმედს და იზომება სიყვარულით.

და ბოლოს: პავლე ამბობს, რომ დარჩება რწმენა, იმედი, სიყვარული. ეს არის მთავარი პრინციპები, მაგრამ „მათგან უდიდესი სიყვარულია“. პავლე იმას კი არ ამბობს, რომ სიყვარული უმნიშვნელოვანესიაო, არამედ ამბობს, რომ უდიდესიაო. და ამას თავად ხსნის, რადგან რწმენა ოდესმე წყდება. როცა რწმენას დრო ეწურება, მერე ვიწყებთ იმის გაანალიზებას, თუ რისი გვწამდა. ამ დროს ქრება რწმენა. დღესაც შეიძლება ხანდახან რწმენის განცდა. ამგვარი განცდები რწმენაში გვანმტკიცებს. როცა უფალთან ვიქნებით, მაშინ აღარ დაგვჭირდება რაიმეში დარწმუნება, ვინაიდან ყველაფერი ხელის გულზე იქნება, ყველაფერი ცხადი გახდება. იმედი - რაღაცის მოლოდინში ვართ და ამ რაღაცას, გარკვეულწილად, წინასწარ შევიგრძნობთ წმიდა ზიარებასა და თანაზიარებაში. კარგია, როცა ადამიანს იმის განცდა შეუძლია, თუ როგორი შეიძლება იყოს ღმერთთან თანაზიარება, თუმცა ეს მხოლოდ წინათგრძნობაა. მაგრამ ღმერთი შეასრულებს თავის დანაპირებს დამაშინიმედი აღარ დაგვჭირდება. და მერე ამ რეალობაში ვიცხოვრებთ. სიყვარულის განცდა დღესაც შეგვიძლია სხვადასხვაგვარად, იგი არასოდეს დასრულდება. და რატომ? დავუბრუნდები დასაწყისს. ჩვენ ღმერთთან ურთიერთობაში მიგვიღებენ და მასში ვიცხოვრებთ, ეს ურთიერთობა სიყვარულია. როცა ამას მივალწევთ, როცა მიზანთან ვიქნებით, მაშინ ღმერთის სიყვარულში ვიცხოვრებთ, გვექნება მასთან შინაგანი თანაზიარება, მასთან სრულიად ერთნი ვიქნებით, ძალიან ახლოს ვიქნებით და ვერავინ შეძლებს, დაგვაშოროს მას. ეს არის სიყვარული. მაშასადამე, სიყვარული არ დასრულდება, ის უფრო სრულყოფილი გახდება მაშინ, როცა ღმერთთან თანაზიარებაში ვიცხოვრებთ. რა ხდება მოყვასის სიყვარულთან დაკავშირებით? არც ის შეწყდება, ისიც უფრო სრულყოფილი გახდება, რამეთუ საქორწინო ნადიმისა და შემდეგ ახალი შემოქმედების თანამოზიარენი გავხდებით. ადამიანები ახალ პირობებში იცხოვრებენ, ყველა მათგანი ღვთიური სიყვარულით აღივსება. ღმერთთან ამ შინაგანი

თანაზიარების პირობებში ადამიანებს შორის სულ სხვაგვარი ურთიერთობა დამყარდება. ყოველგვარი ცოდვილიანობა გაქრება, ყველაფერი ადამიანური გაქრება, ადამიანები მთლიანად ღმერთზე იქნებიან ორიენტირებულნი, ღმერთი იქნება ყველაფერი ყველაფერში, თავად ადამიანებს შორის ურთიერთობაც ღმერთზე დაფუძნებული და ღვთიური სიყვარულით აღვსილი იქნება. მთელი ამ მოვლენების მიზანი საუკუნო სიცოცხლეა, რათა ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში ვიცხოვროთ და, რომ ადამიანებს შორის ტრინიტარული ურთიერთობის ხატი არსებობდეს. ადამიანებს შორის ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულზე იქნება დაფუძნებული. ეს არის ჩვენი მომავალი.

ეს იყო რამოდენიმე მოსაზრება რწმენასთან, სიყვარულთან და იმედთან დაკავშირებით, რომლებიც მთავარ მცნებებს წარმოადგენენ. კარგი იქნება, თუ ცოტა მაინც ვიმუშავებთ ამაზე. მაინც რა მწამს საერთოდ? რისი მწამს? დროთა განმავლობაში რწმენას იმდენი მტვერი დაედო, რომ ზოგჯერ მას სხვა რამეში ურევენ, ტრადიციებში, ეს დღესაც ასეა. მოდით, ამ საკითხს უფრო ჩავუღრმავდეთ. რა გვწამს, რისი გვწამს საერთოდ? აქედან აღმოცენდება იმედიც და სიყვარულიც. იმედის გარეშე რწმენა მკვდარია, რწმენა სიყვარულით იზომება.

ჩვენი მიზანია, საუკუნოდ მიგვიღონ ღვთიურ სიყვარულში, ჩვენც და ჩვენი თანამომძენიც. ეს არის ჩვენი სურვილი, ეს არის ჩვენი მიზანი. ამინ.

ძირითადი აზრები

რწმენა, იმედი და სიყვარული განუყოფელია და ასევე აუცილებელი ხსნისათვის. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი სიყვარულია და მას ვართ მინდობილნი. იმედი და სიყვარული რწმენიდან მოდის. ჩვენ მოთმინებით მოველით გამოსყიდვას და აქტიურად ვემზადებით ამისთვის. ღმერთს სიყვარულზე სიყვარულით ვპასუხობთ იმგვარად, რომ მის მცნებებს ვემორჩილებით და იესოს მაგალითისამებრ ვცხოვრობთ.

ფოტო: სამხრ. აფრიკის ახსკ



მგზავრობა დრაკონისთავიანი ნავით

გლობუსი მრგვალი და დიდი: ახალსამოციქულო თემები ყველგან არის - მდიდარი ტრადიციის მქონე და სრულიად თავისებურ კულტურებში. სიცოცხლით სავსე და ჭრელია ისინი, მაგრამ მაინც ერთ ჭერქვეშ არიან მოქცეულნი.

ყოველწლიური რეგატა დრაკონისთავიანი ნავებით კეიპტაუნის ცენტრში კვლავაც დიდ ივენთად იქცა სამხრ. აფრიკის სამხ. ეკლესიის ახალგაზრდებისათვის. სიცოცხლითა და ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდული დღის შემდეგ, რომელიც 2018 წლის თებერვალში ჩატარდა, კეიპტაუნის სტადიონი ახლა - 2 აპრილს, ორშაბათს - ყველა თემის შეკრების ადგილი გახდა. 60 გუნდი ჩამოვიდა, ლანგებანიდან (დასავლეთი) გაუტენგამდე (ჩრდ. აღმოსავლეთი). ათასობით მაყურებელი, მათ შორის სამხ. მოციქული ჯონ კრილი, აგულიანებდა თავის საყვარელ გუნდს. ბოლოს ჩრდილოელმა ვიკინგებმა მოიგეს ფინალი და შეინარჩუნეს წინა წელს მოგებული ტიტული. მართალია, გარკვეულ სპორტულ შეჯიბრს ჰქონდა ადგილი, მაგრამ განცდილი თანაზიარების გამო სიხარული უფრო დიდი იყო.

ფოტო: სამხრ. აფრიკის ახსე



ირჩეულნი - და ახლა?

მოძიებულნი, ამორჩეულნი, მოწოდებულნი - სახარების ამ ცენტრალური მცნებების მიხედვით ხდება მიღება და გარიცხვა. განა შეიძლება ამგვარი რამ, თუ ღმერთს ყველა ადამიანი უყვარს? მოსაზრებანი პირველმოციქულის ღვთისმსახურებიდან.

თებერვლის ბოლოს, აფრიკაში მოგზაურობის დროს, პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა პირველი სამი ღვთისმსახურება კამერუნში ჩაატარა. ოთხშაბათს, 2018 წლის 28 თებერვალს, ის ერთმორწმუნე და-ძმებთან ერთად იაუნდეში მივიდა.

მათი რიცხვი შეზღუდულია. ასე ახსნა პირველმოციქულმა შნაიდერმა 144 000-ის მნიშვნელობა.

შევიცნოთ რჩეულება

გამოცხადება გადმოგვცემს, რომ იესო ქრისტესთან რჩეულთა თანაზიარებას იოანე უფლის მეორედ მოსვლის შემდეგ ხედავდა. ისინი, ვინც უფლის მეორედ მოსვლის მონაწილე გახდებიან, სამი ფაქტორით შეიძლება ამოვიცნოთ, აღნიშნა საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელმა:

- არანაირი დამსახურება: რჩეულები მათი დამსახურების გამო, მათი წარმატებების გამო კი არ აირჩიეს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთმა აირჩია ისინი;
- არც ერთი ერი. რჩეულები ყველა ტომიდან და ეროვნებიდან არიან;
- მრავალრიცხოვნება, რომელიც შეზღუდულია. რჩეულები მრავალრიცხოვანნი არიან, თუმცა

ჩავწვდეთ რჩეულებას

უფლის მეორედ მოსვლის მონაწილენი რჩეულნი არიან იმიტომ, რომ

- გახდნენ პირმშობი: და, ამდენად, ის ადამიანები, „რომლებიც აღდგომის შემდეგ იესოს აღდგომის სხეულს შეიმოსავენ“;
- შექმნან ქრისტეს სასძლო: „ქორწილი იმას გვიჩვენებს ცხადად, რომ ისინი პირველები იქნებიან, რომლებიც იესოს შინაგანად დაუკავშირდებიან, რომლებიც მასთან ერთად იცხოვრებენ და ყველაფერს მასთან ერთად გაინაწილებენ“;
- იმსახურებენ და იმეფებენ იესოსთან ერთად: ისინი ადამიანებზე კი არ იბატონებენ, ბრძანებებს კი არ გასცემენ, არამედ მთელ ძალასა და უნარს „ადამიანთა გამოსყიდვისათვის მსახურებას მოანდომებენ“.

ღვთისმსახურებაზე პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა მოციქულებად აკურთხა იგნასიო ჩი ნჩი (3-ე მარჯვ.) კამერუნისათვის, ბრაიმა საფა (2- მარჯვ.) სიერა-ლეონესათვის და ერნესტ ონიებუჩი ონვუკვე (1. მარჯვ.) ნიგერიისთვის.



განვამტკიცოთ რჩეულება

- რჩეულები ღვთის სახელს ატარებენ. ისინი ღმერთს ეკუთვნიან: „იესომ თავისი მსხვერპლით გამოგვისყიდა. ეშმაკს აღარ აქვს ჩვენზედ ძალა.“ რჩეულები ღვთის მოწოდებას მიჰყვებიან: „შენ ღვთის შვილი გახდი, რადგან იესომ პირადად ამოგირჩია და გამოგისყიდა.“ ისინი სულიწმიდის მადლს იღებენ: „ეს წყლისა და სულისგან დაბადების სიმბოლოს თვალსაჩინო ნიშანიც არის, რაც წყლით ნათლობისა და სულიწმიდით აღბეჭდვის შედეგად მივიღეთ.“
- ისინი თავს არიდებენ კერპთაყვანისმცემლობას. კერპები ღმერთს გვაშორებს: „თუ განათლება, ფული ან წარმატება შენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იესო ქრისტე, მაშინ შენი არჩევანი კერპია.“ კერპთაყვანისმცემლობაში შედის ჯადოქრობაც და სპირიტიზმიც: „ადამიანი უკვე აღარ ენდობა იესო ქრისტეს იმის მისაღებად, რაც ძალიან უნდა, ე. ი., გამოსავალს სხვაგან ეძებს.“ მქადაგებლებიც შეიძლება საფრთხედ იქნენ რწმენაში: „კერპთაყვანისმცემლობაა ისიც, როცა კაცი უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე იესო ქრისტე.“
- ისინი იესოს მიჰყვებიან. მიმდევრობა იესო ქრისტესთან თანაზიარების ნება-სურვილს ნიშნავს - „ღვთისმსახურებაზე, ლოცვაში, განსაკუთრებით კი წმიდა ზიარებაში.“ რჩეულები ემორჩილებიან იესო ქრისტეს და უსიტყვოდ მისდევენ მას, რამეთუ „გვიყვარს იგი. რამეთუ მასთან ერთად ყოფნა გვსურს.“ რჩეულები ხსნის გზავნილს უცხოებსა და ცოდვილებს ახარებენ: „ჩვენ გვიყვარს უცხოები. ჩვენ გვიყვარს სუსტები.“
- ისინი უბიწონი არიან. რჩეულები აცნობიერებენ თავიანთ ცოდვებს და ინანიებენ მათ. ცოდვათა მიტევება რწმენითა და სინანულით არის შესაძლებელი: „ღმერთმა ცოდვები ჩამორცხა მათ. ისინი უბიწონი არიან.“
- ისინი მოციქულებს მისდევენ. რჩეულები მოციქულთა მეშვეობით იღებენ სულის ბეჭედს: „იესოს მეორედ მოსვლისათვის სასძლოს მომზადება მოციქულობას დაევალა.“

ძირითდი აზრები

გამოცხ. 14, 1:

„ვიხილეთ: აჰა, კრავი დგას სიონის მთაზე და მასთან ასოცდაოთხი ათასი, რომელთაც შუბლებზე აწერიათ მისი სახელი და მისი მამის სახელი.“

ისინი აირჩიეს, რათა კრავის პირშობები გამხდარიყვნენ. ამის მისაღწევად კი მთლიანად ღმერთს მივუძღვნათ თავი, უგულვებელვყოთ კერპთაყვანისმცემლობის ნებისმიერი ფორმა, ვიმსახუროთ იესოს მაგალითისამებრ, ვისწრაფოთ წყალობისკენ და გავყვეთ მოციქულებს.

პავლე მელიტაში აღმოჩნდა

(საქმე 27-28-ის მიხედვით)

პავლე სხვა პატიმრებთან ერთად ხომალდით რომში უნდა ჩაეყვანათ. ძლიერი ქარი უბერავდა. როცა ხომალდი კრეტას მიადგა, მოციქულმა გააფრთხილა გემზე მყოფები, რომ აღარ გაეგრძელებინათ ნაოსნობა. მაგრამ ასისტავმა ყური არ ათხოვა მას.

ქარი მძვინვარე ქარიშხლად იქცა. მეზღვაურები ამოდ ცდილობდნენ ხომალდის მოთოკვას. მეორე დღეს კი გემბანიდან ტვირთი გადაყარეს. ქარიშხალი არ ცხრებოდა. ერთი დღის შემდეგ ხომალდის აღჭურვილობა და ყველა ის საგანი გადაყარეს, რის გადაყრაც შეიძლებოდა, ასე გემი უფრო უნდა შემსუბუქებულიყო. ცაზე არც მზე ჩანდა და არც ვარსკვლავები. ამ საშინელ უამინდობაში მგზავრებს ყველანაირი იმედი გადაეწურათ. მაგრამ ღმერთმა ანგელოზის მეშვეობით პავლეს ათქმევინა, რომ ყველა გემბანზე მყოფი, 276-ივე ადამიანი, გადაურჩებოდა ამ საფრთხეს. თოთხმეტი დღე და ღამე გავიდა. შუალამე

იდგა. მეზღვაურებმა ლოტით (ნავიგაციური ხელსაწყო) გაზომეს ადგილი და ნახეს, რომ წყალი ღრმა აღარ იყო. შეეშინდათ, კლდეს არ შეჯახებოდნენ. ზოგიერთმა მეზღვაურმა ნავით გაქცევა სცადა. მაგრამ პავლემ გააფრთხილა: თუ ყველა არ დარჩებოდა, ვერ გადარჩებოდნენ. გამთენიისას პავლემ თანამგზავრებს დანაყრება ურჩია. მან „აილო პური, ყველას წინაშე მაღლი შესწირა ღმერთს, გატეხა და დაიწყო ჭამა“. როცა გათენდა, ეკიპაჟი ხომალდის ნაპირზე მიყვანას შეეცადა, მაგრამ კიჩო გაუტყდათ მეჩეჩზე. ზოგი მიცურავდა, ზოგიერთი კი დალეწილი ხომალდის ფიცარებსა და ძელებზე აცოცებას ცდილობდა. ამასობაში 276-ივე ადამიანმა შეძლო ნაპირამდე მიღწევა. ისინი გადარჩნენ. კუნძულს, რომელსაც მიაღწიეს, მელიტა ერქვა. კუნძულზე მაცხოვრებლებმა გულთბილად მიიღეს ხომალდისგან დაზარალებულები. წვიმდა და ციოდა, ამიტომაც ცეცხლი დაუნთეს მათ. პავლემაც შეაგროვა ფიჩხი. როგორც კი ფიჩხის კონის ცეცხლზე დაგდება მოინდომა,

იქიდან უეცრად
 სიცხისგან შეშინებული
 გველი გამოძვრა.
 მაგრად უკბინა
 პავლეს ხელზე.
 ნუთუ ქარიშხლისგან
 გადარჩენა ამაო
 უნდა ყოფილიყო?
 კუნძულის
 მკვიდრნი
 ერთმანეთს
 ეუბნებოდნენ: „ეს
 კაცი ნამდვილად
 კაცისმკვლეელია,
 რადგან ზღვას კი გადაურჩა,
 მაგრამ სამართალი
 სიცოცხლეს არ ანებებს.“
 პავლემ გველი ცეცხლში
 მოისროლა. კუნძულები
 ელოდებოდნენ, რომ “[პავლე]
 დასივდებოდა ან უცბად
 დაეცემოდა მკვდარი“.
 დიდხანს ელოდნენ,
 მაგრამ არაფერი
 მოხდა. ისე ჩანდა,
 თითქოს მისთვის
 არასოდეს ეკბინა
 გველს. პოპლიოსმა,
 „იმ არე-მარეში კუნძულის
 მთავარმა“, პავლე თავისთან
 დაპატიჟა საცხოვრებლად.
 მამამისი ავად იყო და
 მაღალი სიცხე ჰქონდა.
 პავლე მივიდა მასთან,
 ილოცა, ხელები
 დაასხა და განკურნა.
 კუნძულზე მყოფი სხვა
 დასწეულებულებიც მივიდნენ
 და პავლემ ისინიც მოარჩინა.



სტუმრად დამიანთან დოჰაში (ყატარი)

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ყატარში! მე მქვია დამიანი და ვარ 13 წლის. ვცხოვრობ დოჰაში, ქვეყნის დედაქალაქში, ჩემს მშობლებთან და ძმა დილონთან ერთად (ის 15 წლისაა). ყატარი წინა აზიაში მდებარეობს, თქვენ მას საუდის არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით იპოვით.



აი, აქ ვცხოვრობთ, ეს ჩვენი სახლის შესასვლელია. ჩემი მშობლები აფრიკიდან არიან, ყატარში შვიდი წლის წინ გადმოვიდნენ, რადგან მამაჩემმა აქ კარგი სამსახური იშოვა. ის დირექტორის მოადგილეა საპროექტო მენეჯმენტის ფირმაში აეროპორტში, დედაჩემი კი მუსიკას ასწავლის ჩემს სკოლაში. ყატარში ბევრი უცხოელი ცხოვრობს, მხოლოდ ყოველი მეცხრეა ადგილობრივი მკვიდრი. საზღვარგარეთიდან ბევრი აქ ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში სამუშაოდ ჩამოდის. ამ სასარგებლო წიაღისეულმა ქვეყანას სიმდიდრე მოუტანა.

ფოტო ჩემს მეგობრებთან ერთად, ის დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე რესტორანშია გადაღებული.



მამაჩემი ჩვენი თემის წინამძღვარია. გარდა ამისა, ის გუნდშიც მღერის და ორდანსაც უკრავს. დედაჩემი გუნდს დირიჟორობს და ორდანზე უკრავს, იგი ჰობოისაც უკრავს ორკესტრში. როგორც ამ სურათზე ჩანს, ჩვენს ოჯახს მუსიკისკენ აქვს მიდრეკილება: მე ჩელოზე ვუკრავ, ჩემმა ძმამ კი კეიბორდი (კლავიშოვანი ინსტრუმენტი) ამოირჩია.

ჩვენი ღვთისმსახურებანი ტარდება ერთ-ერთ ქრისტიანულ კომპლექსში. იქ პატარა ოთახია, სადაც სკამებისა და ერთი მაგიდის დადგმა შეიძლება, რომელიც საკურთხევლის მაგივრობას გვიწევს. კარადაში ვინახავთ მაგიდის გადასაფარებელს, კეიბორდს, საგალობლებს, ნოტებსა და ნოტების პულტს. ოთახს ყოველი ღვთისმსახურების წინ ვაწყობთ.

ეს ის სკოლაა, სადაც დავდივარ. ჩემი საყვარელი საგნებია გეოგრაფია, თეატრი, სპორტი და ისტორია.

რასაც ვერ ვიტან, ეს არის რაგბის თამაში, პომიდორი და ინგლისურის გაკვეთილი. ის, რაც მიყვარს, არის ჩემი პლენისტიშენითა და ტაბლეტით თამაში, ყველიანი მაკარონი, ფეხბურთი და სპორტის სხვა სახეობანი.

2022 წლისათვის ყატარი ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოემზადება. იმის გამო, რომ ზაფხულში აქ ტემპერატურა 40 °C-ზე მეტია, მსოფლიო ჩემპიონატი ზამთარში გაიმართება. მაშინ ტემპერატურა საშუალოდ 17°C -დან 20°C-მდეა.





ფოტო: შრაიან ჯაკვსონი - Forolia.com

ლოცვა - იგი აუცილებელია ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში

რატომ ვლოცულობთ? საერთოდ რა აქცევს ლოცვას ლოცვად? და რა არის საჭირო აქტიური ინტენსიური ლოცვისთვის? მოსაზრებანი ღმერთთან დიალოგის თაობაზე - პირველმოციქულის ჩანაწერებიდან

როცა ლოცვაზე ვლაპარაკობთ, უპ. ყოვლისა, ამ დროს ალბათ ღვთისმსახურებაზე წარმოთქმული ლოცვები გვახსენდება. ამ ლოცვების არსებითი ელემენტებია თაყვანისცემა, მადლიერება, თხოვნა და შუამდგომლობა. ლოცვები, რომლებსაც ღვთისმსახურებაზე წარმოთქვამენ, ღვთისმსახურების წამყვანის თხოვნებსა და საზრუნავს კი არ გამოხატავს, არამედ იმას, რაც მთელ თემს ეხება და აწუხებს.

საჯარო ლოცვა ღვთისმსახურებაზე ღვთისმსახურების მონაწილეებს ყოველთვის იმაზეც მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პერსონალური ლოცვები რწმენით ცხოვრებისათვის. ღვთისმსახურებაზე ლოცვამ მორწმუნეებს მხნეობა უნდა შემატოს, რათა თავადაც ილოცონ, და არა მხოლოდ მიძიმე სიტუაციებში, როცა ალბათ გამოსავალს ვერ ხედავენ და სასოწარკვეთილები არიან, არამედ ნებისმიერ ცხოვრებისეულ გარემოებაში.

რწმენისა და თანაზიარების გამოხატულება

ლოცვა ღმერთსა და ადამიანს შორის თანაზიარების გამოხატულებაა. ამასთან დაკავშირებით კატეხიზმოში ნათქვამია: „ლოცვის დროს მორწმუნე ხვდება, რომ ღმერთი მასთან არის, ღმერთი ისმენს და ღმერთი პასუხობს“ (კატ. 13. 1).

თუმცა ზოგიერთებისათვის პერსონალური ლოცვა, რასაც ტრადიციულად ლოცვაში ცხოვრებას ვუწოდებთ, ხშირად უკანა პლანზე გადადის. ამდენად, აუცილებელია, რომ ისევ და ისევ დაავიქრდეთ ლოცვის შესაძლებლობაზე. გარდა ამისა, მაშინ, როცა ბავშვების სარწმუნოებრივ აღზრდაზე ვართ პასუხისმგებელი, რეგულარულად უნდა ვილოცოთ მათთან ერთად, რათა მიხვდნენ ისინი, რომ ლოცვა მარტო ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილი კი არ არის, არამედ ყოფითი ცხოვრებისაც.

როცა ვლოცულობთ, პირველ რიგში, ამით ჩვენს რწმენას გამოვხატავთ, რამეთუ ღვთისადმი რწმენის გარეშე მისადმი მიმართვა და მისგან პასუხის მოთხოვნა უაზრობაა. მაგრამ მორწმუნემ იცის, რომ შეუძლია მიმართოს ღმერთს და ისიც უპასუხებს. ადამიანი ღვთიური ქმნილებაა და ამიტომაც ღმერთი მიმართავს მას.

ვინც ლოცვის შესაძლებლობას იყენებს, ის რწმუნდება, რომ ღმერთი მის წინაშეა, უსმენს მას და პასუხობს. ამ გამოცდილების შედეგად კი კაცი

შეიგრძნობს ღმერთს და აცნობიერებს, რომ ღმერთს აინტერესებს ადამიანთა საქმენი და მათ გვერდით არის. ამდენად, ლოცვა შინაგან განწყობასაც გამოხატავს, რასაც ღვთისადმი ნდობა ახასიათებს.

მლოცველმა უნდა იცოდეს, თუ რომელი ელემენტებისგან შედგება ლოცვა.

შინაგანი და გარეგანი პოზიცია

ლოცვა, პირველ რიგში, სხეულის გარკვეული მოძრაობებითაც გამოიხატება: მაგ., ხელების გადაჭდობით იმის დემონსტრირება ხდება, რომ მლოცველი ამ დროს მოქმედი და დასაქმებული კი არ არის, არამედ მთლიანად ღმერთთან საუბარზეა კონცენტრირებული და ყველა სხვა საქმიანობა შეწყვეტილი აქვს. მლოცველები, რომლებიც ლოცვისას მუხლს იყრიან, ამით იმას აჩვენებენ, რომ ღმერთის წინაშე თავს იმდაბლებენ და თყვანს სცემენ მას როგორც ყოვლისშემძლეს, უზენაესსა და გულმოწყალეს, რომლის მზრუნველობასაც უსიტყვოდ არიან მიხდობილი. როცა ლოცვისას თვალს ხუჭავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერაფერმა ვერ უნდა გაუფანტოს მათ ყურადღება ღმერთთან საუბრისას.

მამასადამე, უკვე გარეგნულ პოზიციაშიც ჩანს, რომ მლოცველი საკუთარ თავში იმ ადამიანს მოიაზრებს, რომელიც მთლიანად ღმერთზეა ორიენტირებული. ლოცვის საფუძველი ღმერთისათვის მიმართვის უშუალო მოთხოვნილებაა, რათა მადლობა გადაუხადონ მას ყოველივე მიღებულისათვის და თანადგომა ან დახმარება სთხოვონ. ე. ი., ლოცვისას ადამიანი ყოველთვის მიმდებია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ღმერთს ერკინება ან მოთხოვნებს უყენებს, როგორც ამას იესო ლუკ 22, 44-ში ამბობს. მამასადამე, ადამიანი არის მთხოვნიელი, ხოლო ღმერთი გამცემი და მიმნიჭებელი. საბოლოო ჯამში, ლოცვაში ლაპარაკია წყალობასა და ხსნაზე, რისკენაც ადამიანი ისწრაფვის და, რასაც ღმერთი უწილადებს მას.

ლოცვაში მხოლოდ ღმერთია ჩვენი თანამოსაუბრე. ეს ეხება ერთად ლოცვასა და ღვთისმსახურებაზე ლოცვასაც. ამ დროს დამსწრეებს კი არ მიმართვენ, არამედ ღმერთს. ამდენად, ლოცვა არც მონოლოგია და არც თანამლოცველებისათვის სიტყვით მიმართვა.

ვინც ღმერთს არის მიხდობილი, დარწმუნდება, რომ ღმერთი მოსიყვარულე და მზრუნველი მამაა, რომელიც სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოებებში ძალას გვანიჭებს და ჩვენს გვერდით

არის. თუ მამა-ღმერთს შემოქმედად, იესო ქრისტეს მხსნელად და სულიწმიდას ახალ შემოქმედად ვაღიარებთ, მაშინ ამის განცდას ლოცვაშივე შევძლებთ. ამდენად, ჩვენი აღმსარებლობა, ერთი მხრივ, ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდება, მეორე მხრივ, თაყვანისცემა, მადლიერება, ხვეწნა-ვედრება და შუამდგომლობა, რომლებიც ლოცვის შემადგენელი ნაწილებია, ღვთიურ არსში ჩაგვახედებს. აქედან გამომდინარე, ლოცვა ღმერთის შემეცნების უშუალო წყაროა.

დავუბრუნდეთ ზემოთ დასახელებულ ასპექტებს, რომლებიც ერთნაირად განეკუთვნება როგორც საჯარო, ასევე პირად ლოცვებს.

თაყვანისცემა

პირველ რიგში, ლოცვა თაყვანისცემაა - ღვთიური, რომელიც ყოვლისშემძლედ, დიდებულად, საიდუმლოდ და უზენაესად აღიქმება, ადამიანებს ამრწუნებს და თან ხიბლავს. თაყვანისცემა წინ უსწრებს თხოვნასა და შუამდგომლობას. თაყვანისცემა უპირველესად ღმერთს ეგების, რამეთუ ის ყოველივე უშუალოდ აღქმულზე მაღლა დგას, ვინაიდან მასში ყველა შეზღუდვა მოხსნილია. თაყვანისცემისას მოწიწებით ვუახლოვდებით ღვთიურ დიდებულებას, რომელსაც ამსიტყვებითაც მოიხსენიებენ: უწმიდესი, ყოვლისმპყრობელი, მარადი.

როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაშიც თაყვანისცემის ბევრი მაგალითი გვხვდება: „მოდით, თაყვანი ვცეთ და შეუვრდეთ, მუხლი მოვიდრიკოთ ჩვენი შემქმნელი უფლის წინაშე“ (ფსალმ. 94, 6). გამოცხ. 4, 10. 11 სწორი თაყვანისცემის შესტებსა და სიტყვებს გადმოგვცემს: „ოცდაოთხი უხუცესი დაემხო ტახტზე მჯდომარის წინ და თაყვანი სცა უკუნითი უკუნისამდე ცოცხალს. თავიანთი გვირგვინები დაამხეს ტახტის წინ და თქვეს: „შენ ღირსი ხარ, უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება, პატივი და ძალა, ვინაიდან შენ შექმენი ყოველივე და შენი ნებით იყვნენ და შეიქმნენ“.

ძველ აღთქმაში თაყვანისცემის ერთადერთი კანონიერი ობიექტი ისრაელის ღმერთია, რომელიც ამავე დროს კოსმოსის შემოქმედიც არის. ახალი აღთქმა კი ასაბუთებს, რომ იესო ქრისტესა და სულიწმიდასაც ისევე ეგების თაყვანისცემა, როგორც ღმერთს. იესო არის მკვდრეთით აღმდგარი და ამაღლებული უფალი, რომელსაც თაყვანი უნდა სცეს კაცმა. სულიწმიდას კი თაყვანისცემა ეგების როგორც ღვთის სუფევის განმასახიერებელსა და ახალ შემოქმედს.

საბოლოო მიზანი კი ის არის, რომ ყველა ადამიანი და ერი, ასევე სამყაროში არსებული ყველა ხილული და უხილავი ძალა, ერთი ღმერთის თაყვანისცემამდე მივიდეს (ეს. 45, 14; ზაქ. 14, 9. 16; ფსალმ. 95, 7-9; იოან. 4, 20-24). ამასთანავე, მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე ამაღლებული უფალიც არის, რომელსაც თაყვანი უნდა სცენ და სცემენ კიდევ თაყვანს. ის, რაც ძველ აღთქმაში ღმერთზეა ნათქვამი, ახლა ქრისტეზეა გადმოტანილი (ფილიპ. 2, 9-11). ამაღლების დროს აშკარად გამოჩნდა, რომ თაყვანისცემა ქრისტეს წილხვედრიც არის: „მათ თაყვანი სცეს მას და დაბრუნდნენ იერუსალიმში დიდი სიხარულით (ლუკ. 24, 52).

მადლიერება

მადლიერება იმის ღრმა რწმენიდან მოდის, რომ ღმერთთან ურთიერთობა თავის გავლენას ახდენს ადამიანის მთელ ცხოვრებაზე. ვინც მადლობას იხდის, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის იხდის მადლობას, მისი ყოფიერებისათვის, რომელიც საერთოდ არ არის დამოკიდებული იმაზე, წარმატებულია თუ არა ამჟამად მისი ეს ყოფიერება ადამიანური საზომების მიხედვით. მადლიერებაში იმის გამოხატვა ხდება, რომ ღმერთი მისი შემოქმედების შემოქმედი და შემნახველია, და რომ ადამიანი თავს ამ შემოქმედების ნაწილად აღიქვამს.

მადლიერებისკენ ადამიანს იმის გამოცდილება უბიძგებს, რომ იგი დაცული იქნება, ღმერთი მის გვერდით იქნება და მოწყალედ მოჰხედავს მას. მადლიერების გამოხატვა იმის ცოდნით ხდება, რომ ცხოვრება და ცხოვრებისეული გარემოებანი შემთხვევითობაზე არ არის დამოკიდებული, მათ ღვთიური დაშვება და არდაშვება განსაზღვრავს.

თხოვნა

ზოგჯერ ისე ჩანს, თითქოს ლოცვა უპირველესად თხოვნაა; „მამაო ჩვენოშიც“, უფლის ლოცვაშიც, ბევრი თხოვნაა მოცემული. ღვთისადმი თხოვნით მიმართვა ნათელს ხდის იმას, რომ ღმერთია ის, რომელსაც ცხოვრების ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება მიმართოს კაცმა. მლოცველი ლოცვაში მის ცხოვრებისეულ სიტუაციასაც რთავს.

ვინც ღმერთს რაღაცას სთხოვს, ის მასში დამხმარესა და მწყალობელს ხედავს. როცა ლოცულობს, ადამიანი გრძნობს, რომ ღმერთი გულმოწყალე და ადამიანის მიმართ კეთილგანწყობილია. მასში იმას ხედავს, ვინც ასრულებს ან არ ასრულებს თხოვნებს. მახვეწარ ლოცვას საფუძვლად იმის



ფოტო: Africa Studio - Fotolia.com

შემეცნება უდევს, რომ ღმერთი თავისი ქმნილების მიმართ კეთილად არის განწყობილი და უყვარს იგი. ღმერთი არ არის შორს და არც გულგრილია მისი ქმნილებების მიმართ, არამედ მათ გვერდით არის და იფარავს მათ. მას სურს, რომ ხსნასთან და საუკუნო სიცოცხლესთან მისასვლელი გაუხსნას მათ.

შუამდგომლობა

შუამდგომლობა იმის შემეცნებიდან მოდის, რომ მორწმუნეთავეს რწმენას მარტოკიარ ახორციელებს, არამედ სხვა მორწმუნეებთან თანაზიარებაში. გარდა ამისა, მლოცველი თავს ღვთის ხატად აღიქვამს, რომელიც სხვა ადამიანებთან კავშირშია, რამეთუ ისინიც ასევე ღვთის ხატები არიან - და მათთან ერთად ღვთის ქმნილებათა თანაზიარებაში იმყოფება.

და კიდევ, შუამდგომლობა მოყვასის სიყვარულის მცნებიდან გამომდინარეობს. თხოვნა იმისა, რომ,

დაე, ღმერთმა სხვებიც დაიფაროს და ხსნა მიანიჭოს მათ, მორწმუნეს იმ საფრთხისგან იცავს, რომ ხსნა მხოლოდ თავისთვის უნდოდეს.

დასკვნა

ყველაფერი, რაც ადამიანს აწუხებს და მის გულში ხდება - საკუთარი გაჭირვებანი და სურვილები, სხვათა გაჭირვებანი და სურვილები - ლოცვის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ლოცვაშია ჩადებული ასევე შიში და სიხარული, ჯანმრთელი, სნეული და მომაკვდავი სიცოცხლე, ბუნებისა და ადამიანის ყოფიერების მშვენიერება თანაზიარებაში და ერთმანეთისათვის, მაგრამ ასევე გაუთავებელი ნგრევანი, რომელსაც ადამიანი ბუნებასა და თავად ადამიანზე ახორციელებს. მაშასადამე, ლოცვა აუცილებელია ისეთი ცხოვრებისათვის, რომელსაც რწმენა და მიმდევრობა განსაზღვრავს.

სატიტულო ფურცელი

გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH 8051 Zürich/Switzerland
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 Neu-Isenburg/Germany
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი



პროგრამა

- 06. 10. 2018 წ. სეტუბალი (პორტუგალია)
- 07. 10. 2018 წ. სოსიოროსი (პორტუგალია)
- 12. 10. 2018 წ. ბრაზილია (ბრაზილია)
- 13. 10. 2018 წ. კურიტიბა (ბრაზილია)
- 21. 10. 2018 წ. ვარშავა (პოლონეთი)
- 04. 11. 2018 წ. ზინდელფინგენი (გერმანია)
- 11. 11. 2018 წ. უსტერი (შვეიცარია)
- 22. 11. 2018 წ. პალანგარაია (ინდონეზია)
- 25. 11. 2018 წ. ბანდუნგი (ინდონეზია)
- 09. 12. 2018 წ. პრეტორია (სამხრ. აფრიკა)
- 16. 12. 2018 წ. ბერლინი (გერმანია)
- 23. 12. 2018 წ. ვაიმარი (გერმანია)
- 25. 12. 2018 წ. საფრანგეთი

New Apostolic Church
International

